ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნი

აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის მიზანი და სამართლებრივი საფუძვლები

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის (შემდგომში – „სასწავლებელი“) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის, ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემის გამოყენებისა და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების მექანიზმებს.

1.2. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, სასწავლებლის წესდებას, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სტანდარტებს, ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) პოლიტიკას, ALLEA-ს „The European Code of Conduct for Research Integrity“ (2023) პრინციპებსა და Erasmus+ RIEGU პროექტის რეკომენდაციებს.

მუხლი 2. რეგულირების სფერო და მოქმედების ფარგლები

2.1. წესის მოქმედება სავალდებულოა სასწავლებლის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, აგრეთვე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სტუდენტისთვის და მკვლევრისთვის, რომელიც სასწავლებლის სახელით ან მის ფარგლებში ქმნის აკადემიურ ან სამეცნიერო პროდუქტს.

2.2. წესით რეგულირდება სასწავლო პროცესის ფარგლებში შესრულებული შუალედური და დასკვნითი დავალებები, რეფერატები, ესეები, კვლევითი პროექტები, საბაკალავრო ნაშრომები, აგრეთვე, პერსონალის მიერ მომზადებული სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საგრანტო განაცხადები და უსდ-ს ჟურნალის („დიპლომატია და სამართალი“) პუბლიკაციები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

- **აკადემიური კეთილსინდისიერება:** აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ინტელექტუალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით;
- **პლაგიატი:** სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის (ტექსტი, იდეა, კონცეფცია, მონაცემები, კვლევის შედეგები, ვიზუალური ან აუდიო მასალა, მეთოდოლოგია) საკუთარ ნაშრომად გასაღება და გამოყენება სათანადო ციტირების, ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე;
- **თვითპლაგიატი (ტექსტის რეციკლირება):** ავტორის მიერ საკუთარი ადრე გამოქვეყნებული ან შეფასებული ნაშრომის (ან მისი არსებითი ნაწილის) ხელახალი გამოყენება ორიგინალური წყაროს მითითების გარეშე და მისი ახალ ნაშრომად წარმოდგენა;
- **კომპილაცია:** სხვისი კვლევითი შედეგებისა და ტექსტების მექანიკური დაჯგუფება/გაერთიანება ავტორისეული დამუშავების, ანალიზისა და კრიტიკული ინტერპრეტაციის გარეშე;
- **ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია:** კვლევითი მონაცემების გამოგონება (ფაბრიკაცია), შედეგებით მანიპულირება, მონაცემების შეცვლა ან შერჩევითი წარმოდგენა (ფალსიფიკაცია), რაც იწვევს რეალური შედეგების დამახინჯებას;
- **გენერაციული ხელოვნური ინტელექტი (GenAI):** ხელოვნური ინტელექტის ალგორითმული სისტემები და ენობრივი მოდელები (LLM — ChatGPT, Gemini, Claude და სხვ.), რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის მოთხოვნის საფუძველზე ტექსტის, კოდის, სურათის ან სხვა შინაარსის ავტონომიური შექმნა;
- **ანტიპლაგიატის სისტემა:** სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა (სასწავლებელში მოქმედი Turnitin ან სხვა ავტორიზებული პლატფორმა), რომელიც ახდენს ციფრული ტექსტების შედარებას ინტერნეტ-რესურსებთან, სამეცნიერო ბაზებთან და სხვ. ტექსტური დამთხვევების დასადგენად;
- **მსგავსების კოეფიციენტი 1 (SC1):** 5-სიტყვიანი ფრაზების დამთხვევის პროცენტული მაჩვენებელი ტექსტში;
- **მსგავსების კოეფიციენტი 2 (SC2):** 25-სიტყვიანი ფრაზების დამთხვევის პროცენტული მაჩვენებელი ტექსტში;
- **მამხილებელი:** პირი, რომელიც კეთილსინდისიერად აცხადებს აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დარღვევის შესახებ და სარგებლობს ინსტიტუციური დაცვის გარანტიებით.

თავი II. პლაგიატის ფორმები და დაშვებული გამონაკლისები

მუხლი 4. პლაგიატის ძირითადი ფორმები

4.1 სასწავლებელში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად და პლაგიატად მიიჩნევა:

- **პირდაპირი პლაგიატი:** სხვისი ტექსტის სიტყვასიტყვითი კოპირება ბრჭყალებისა და წყაროს მითითების გარეშე;
- **პერიფრაზირებული პლაგიატი:** სხვისი აზრის, არგუმენტისა თუ იდეის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე;
- **მოზაიკური პლაგიატი:** სხვადასხვა წყაროდან აღებული ფრაგმენტების გაერთიანება სინონიმების ჩანაცვლებით ან წინადადების სტრუქტურის მცირედი კოსმეტიკური ცვლილებით;
- **გამოუქვეყნებელი მასალის მითვისება:** სხვა სტუდენტის ნაშრომის, ლექციის ჩანაწერის, პრეზენტაციის ან ბლოგის გამოყენება ავტორის ნებართვისა და მითითების გარეშე;
- **ავტორობის გაყალბება / ფიქტიური ავტორობა:** პირის ავტორად მითითება, რომელსაც არსებითი წვლილი არ შეუტანია ნაშრომში, ან ნამდვილი თანაავტორის განზრახ გამოტოვება;
- **ხელოვნური ინტელექტის გენერირებული ტექსტის მითვისება:** AI ინსტრუმენტის მიერ შექმნილი ტექსტის საკუთარ ინტელექტუალურ ნაშრომად გასაღება სათანადო დეკლარირების გარეშე.

4.2 სასწავლებელში ასევე დაუშვებელია და აკადემიური კეთილსინდისიერების უხეშ დარღვევად (აკადემიურ თაღლითობად) მიიჩნევა შემდეგი ქმედებები ან მათი მცდელობა:

- **შესაფასებელი ნაშრომის შეძენა ან გასხვისება:** სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო აქტივობის ფარგლებში (საბაკალავრო ნაშრომი, ესე, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.) სხვის მიერ შესრულებული, შეძენილი ან მოპარული ნაშრომის საკუთარ ნაშრომად წარდგენა, აგრეთვე სტუდენტთა შორის ნაშრომების გაცვლა, გაყიდვა ან შეთავაზება;
- **საგამოცდო თაღლითობა და გადაწერა:** ნებისმიერი ტიპის შეფასების/გამოცდის მიმდინარეობისას სხვა სტუდენტისგან გადაწერა, საგამოცდო სივრცის გარეთ სხვა პირთან კონსულტაცია ან ნაშრომის პასუხების უკანონო გაზიარება;
- **ტექნიკური საშუალებების უნებართვო გამოყენება:** საგამოცდო პროცესში ნებართვის გარეშე ელექტრონული, საკომუნიკაციო ან გამომთვლელი მოწყობილობების გამოყენება;
- **სხვისი განსახიერება:** შეფასების ან გამოცდის მსვლელობისას სხვა პირის ნაცვლად გამოცხადება (განსახიერება) როგორც პირადი დასწრებით, ისე ელექტრონული ფორმით;
- **კონფიდენციალური მასალების არაკეთილსინდისიერი მოპოვება:** საგამოცდო საკითხების, ტესტების ან სხვა კონფიდენციალური აკადემიური ინფორმაციის წინასწარ უკანონო მოპოვება ქურდობის, მოტყუების, მოსყიდვის ან სხვა ხერხით;
- **აკადემიური დოკუმენტაციის გაყალბება:** სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობების, შეფასების უწყისების, რეკომენდაციების, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების ან ჩარიცხვის/აღიარებისათვის წარსადგენი საგანმანათლებლო დოკუმენტების გაყალბება, შეცვლა ან დამალვა.

მუხლი 5. გამონაკლისები, რომლებიც არ მიიჩნევა პლაგიატად

პლაგიატად არ ჩაითვლება და წყაროს სავალდებულო მითითებას არ საჭიროებს:

- საყოველთაოდ ცნობილი ზოგადი ცოდნა და საზოგადოებრივი ფაქტები;
- ნორმატიული აქტების, ოფიციალური დოკუმენტების, სახელმწიფო და საერთაშორისო ინსტიტუტების ოფიციალური დასახელებები;
- სამართლებრივი აქტებიდან ამონარიდები, კანონის მუხლები და ოფიციალური დეფინიციები;
- დამკვიდრებული დარგობრივი ტერმინოლოგია და მყარი სიტყვათშეთანხმებები;
- ბიბლიოგრაფიული მონაცემები და გამოყენებული ლიტერატურის სია;
- სათანადოდ დამოწმებული, კორექტული ციტირება და თვითციტირება.

თავი III. პლაგიატის პრევენცია და ინსტიტუციური მექანიზმები

მუხლი 6. პრევენციული ღონისძიებები

6.1. სასწავლებელში პლაგიატის პრევენციას კოორდინაციას უწევენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და ფაკულტეტები.

6.2. პრევენციის ძირითადი ინსტრუმენტებია:

- სასწავლო კურსის — „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი“ — სავალდებულო გავლა საბაკალავრო პროგრამების პირველკურსელთათვის;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის რეგულარული საინფორმაციო/ სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება საერთაშორისო ციტირების სტილების (APA, Chicago და სხვ.) და კვლევის ეთიკის შესახებ;
- ნაშრომების წინასწარი თვითშემოწმების ხელშეწყობა ელექტრონულ პლატფორმებში;
- წინამდებარე წესისა და გზამკვლევების მუდმივი ხელმისაწვდომობა სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდსა და ელექტრონული სწავლების სისტემაში (LMS).

თავი IV. ანტიპლაგიატის სისტემით შემოწმების პროცედურა და კოეფიციენტები

მუხლი 7. შემოწმების ადმინისტრირება

7.1. სასწავლებელში ტექსტური მსგავსების გამოსავლენად მოქმედებს ლიცენზირებული ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემა (Turnitin).

7.2. შემოწმებას ექვემდებარება:

- ყველა საბაკალავრო ნაშრომი — საჯარო დაცვამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე;

- სამეცნიერო პერსონალის მიერ გამოსაქვეყნებლად მომზადებული მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სამეცნიერო სტატიები;
- სასწავლო პროცესში წარმოდგენილი სემესტრული/კვლევითი პროექტები — ლექტორის ან ფაკულტეტის გადაწყვეტილებით.

7.3. შემოწმების ტექნიკურ პროცესს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ან სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის პასუხისმგებელი პირი. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით (MS Word ფორმატში, შრიფტი — Sylfaen).

7.4. ნაშრომის შემოწმებამდე ავტორი ავსებს და ხელს აწერს ორიგინალობის განაცხადს (დანართი 1).

მუხლი 8. მსგავსების ზღვრული კოეფიციენტები და შეფასება

8.1. ანტიპლაგიატის პროგრამის მიერ გენერირებული მსგავსების ინდექსი თავისთავად არ წარმოადგენს პლაგიატის დადასტურებას; იგი მოითხოვს შინაარსობრივ ექსპერტიზას.

8.2. სასწავლებელში დადგენილია მსგავსების კოეფიციენტების შემდეგი მაქსიმალური ზღვრული ოდენობები:

ნაშრომის კატეგორია	მსგავსების კოეფიციენტი 1 (SC1)	მსგავსების კოეფიციენტი 2 (SC2)	ციტირების მაჩვენებელი / შენიშვნა
საბაკალავრო ნაშრომი	≤ 50%	≤ 10%	შინაარსობრივად აფასებს ხელმძღვანელი და დარგობრივი კომისია
სამეცნიერო სტატია	≤ 30%	≤ 5%	ციტირების კოეფიციენტი ≤ 15%
მონოგრაფია	≤ 35%	≤ 5%	ციტირების კოეფიციენტი ≤ 15%
სახელმძღვანელო / დამხმარე სახელმძღვანელო	≤ 50%	≤ 10%	ციტირების კოეფიციენტი ≤ 15%

8.3. ნაშრომის ხელმძღვანელი/რეცენზენტი დეტალურად ეცნობა ანტიპლაგიატის ანგარიშს, ახდენს ტექნიკური დამთხვევების (ტერმინები, კანონმდებლობა, ციტატები) დიფერენცირებას რეალური პლაგიატისგან და ავსებს დასკვნის ფორმას (დანართი 2).

8.4. თუ ნაშრომი მიიღებს უარყოფით შეფასებას (პლაგიატის გამოვლენა), ავტორს ეძლევა არაუმეტეს 10 კალენდარული დღე მის გადასამუშავებლად. განმეორებითი უარყოფითი შეფასებისას ნაშრომი დაცვაზე/გამოსაქვეყნებლად არ დაიშვება.

თავი V. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების სტანდარტი

მუხლი 9. გამოყენების ფუნდამენტური პრინციპები

9.1. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება სასწავლო და კვლევით საქმიანობაში დასაშვებია მხოლოდ გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პიროვნული ინტელექტუალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით.

9.2. ხელოვნური ინტელექტი არ შეიძლება იყოს ნაშრომის ავტორი ან თანაავტორი. ნაშრომის შინაარსზე, მეცნიერულ სიზუსტეზე, ფაქტობრივ სისწორესა და დასკვნებზე სრული და ექსკლუზიური პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიან-ავტორს.

მუხლი 10. AI-ის დაშვებული და დაუშვებელი გამოყენება

10.1. დაშვებულია გენერაციული AI-ის გამოყენება მხოლოდ დამხმარე ფუნქციებისთვის:

- ტექსტის გრამატიკული, სტილისტური და ორთოგრაფიული კორექტირება;
- ტექსტის თარგმანი (საწყისი შინაარსის ავტორისეული გადამოწმების პირობით);
- ნაშრომის პირველადი სტრუქტურის, გეგმის ან იდეების გენერირება (Brainstorming);
- დამხმარე ლიტერატურისა და წყაროების ძიების პროცესის ოპტიმიზაცია;
- კოდის ოპტიმიზაცია და ტექნიკური ფორმატირება.

10.2. დაუშვებელია გენერაციული AI-ის გამოყენება:

- არარსებული წყაროების, ყალბი ციტატების ან გამოგონილი მონაცემების გენერირებისათვის;
- სხვისი ტექსტის დამალვის, შენიღბვის ან ანტიპლაგიატის სისტემის მოტყუების მიზნით პარაფრაზირებისთვის;
- ნაშრომის ძირითადი შინაარსის, კვლევის მიგნებების, ანალიზის, დასკვნებისა და რეკომენდაციების ავტონომიური გენერირებისთვის;
- ესეს, რეფერატის ან საბაკალავრო ნაშრომის სრული ტექსტის გენერირებისა და მექანიკური კოპირებისთვის;
- კონფიდენციალური, პერსონალური ან საუნივერსიტეტო დაუცველი მონაცემების ღია AI სისტემებში ატვირთვისთვის;
- რეცენზენტის ან ხელმძღვანელის პროფესიული, დამოუკიდებელი ექსპერტული შეფასების ჩასანაცვლებლად.

მუხლი 11. AI-ის გამოყენების სავალდებულო დეკლარირება და ციტირება

11.1. ნებისმიერი აკადემიური ნაშრომის წარდგენისას, სადაც გამოყენებული იყო AI, ავტორი ვალდებულია ნაშრომს დაურთოს წერილობითი დეკლარაცია (დანართი 1): „ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები გამოყენებულია ეთიკური ნორმების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სასწავლებლის მიერ დადგენილი წესის სრული დაცვით.“

11.2. ავტორი ვალდებულია ნაშრომის მეთოდოლოგიის ნაწილში ან სქოლიოში გამჭვირვალედ მიუთითოს: გამოყენებული პლატფორმის დასახელება და ვერსია (მაგ. ChatGPT-4o, Gemini Advanced), მიმართვის ბრძანება (Prompt), მიღებული შედეგი და ის, თუ რა ფორმით დამუშავდა და გადამოწმდა ინფორმაცია ავტორის მიერ.

11.3. AI-ის მიერ გენერირებული კონკრეტული ტექსტური ფრაგმენტის ციტირება ხდება საერთაშორისო სტანდარტით (მაგ. APA 7th style): ტექსტშიდა ციტირება — (OpenAI, 2026) ან (Google, 2026); ბიბლიოგრაფიაში — OpenAI. (2026). ChatGPT (Mar 14 version) [Large language model]. https://chat.openai.com.

11.4. ანტიპლაგიატის სისტემაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ალბათობის კოეფიციენტი (AIPC) ექვემდებარება შინაარსობრივ შემოწმებას. AI-ის გამოყენების ფაქტის დამალვა მიიჩნევა აკადემიური კეთილსინდისიერების მძიმე დარღვევად.

თავი VI. დარღვევების განხილვა, კომისია და სანქციები

მუხლი 12. ეთიკის კომისია

12.1. პლაგიატის, ფაბრიკაციის, მონაცემთა მანიპულირების ან AI-ის არამართლზომიერი გამოყენების სადავო შემთხვევებს განიხილავს სასწავლებლის ეთიკის კომისია (შემდგომში – „კომისია“).

12.2. კომისია იქმნება რექტორის ინდივიდუალური აქტით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები). კომისიაში დაუშვებელია ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირის მონაწილეობა.

12.3. კომისიის მუშაობა ეფუძნება ობიექტურობის, სამართლიანი მოსმენის, კონფიდენციალობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებს. საქმის განხილვისას სავალდებულოა სავარაუდო დამრღვევი პირის მოწვევა და მისი წერილობითი/ზეპირი განმარტების მოსმენა.

12.4. კომისიის დასკვნა (დანართი 3) მტკიცდება ხმების 2/3-ით და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა რექტორსა და აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 13. პასუხისმგებლობის ზომები (სანქციები)

13.1. დარღვევის სიმძიმის, სისტემურობისა და განზრახვის ხარისხის გათვალისწინებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სანქციები:

ა) სტუდენტის მიმართ:

- წერილობითი გაფრთხილება და დავალების ხელახალი შესრულება შემცირებული შეფასებით;
- სასწავლო კომპონენტში/საბაკალავრო ნაშრომში შეფასების გაუქმება (0 ქულა / F შეფასება);
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა (მძიმე ან განმეორებითი პლაგიატის შემთხვევაში);
- უკვე მინიჭებული აკადემიური ხარისხის (ბაკალავრის დიპლომის) ჩამორთმევა — თუ პლაგიატი გამოვლინდა დიპლომის მიღების შემდგომ.

ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიმართ:

- წერილობითი გაფრთხილება;
- სამეცნიერო პუბლიკაციის გამოცემიდან მოხსნა;
- სასწავლებლის შიდა სამეცნიერო დაფინანსებისა და აფილირების წახალისების მექანიზმების გაუქმება;
- აკადემიური/შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

გ) სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელმაც დაუშვა პლაგიატის შემცველი ნაშრომის დაცვაზე გასვლა ჯეროვანი შინაარსობრივი გადამოწმების გარეშე, დაეკისრება წერილობითი გაფრთხილება ან დროებით შეეზღუდება საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობის უფლება.

მუხლი 14. გადაწყვეტილების გასაჩივრება

14.1. პირს უფლება აქვს კომისიის/საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს აკადემიურ საბჭოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრისა და ალტერნატიული ექსპერტული მტკიცებულებების წარდგენის გზით.

14.2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 15. წესის ამოქმედება და ცვლილებები

15.1. წინამდებარე წესი ძალაში შედის სასწავლებლის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.

15.2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ან ფაკულტეტ(ებ)ის ინიციატივით, აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

15.3. გენერაციული AI-ისა და ანტიპლაგიატის სისტემის რეგულაციები ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას ტექნოლოგიური პროგრესისა და საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების განვითარების კვალდაკვალ.

ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუუნი | NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE NEWUNI

დანართი 1: ავტორის განაცხადი და AI დეკლარაცია

ავტორის სახელი, გვარი:	
სტატუსი:	[ ] სტუდენტი (ფაკულტეტი/პროგრამა) [ ] აკადემიური / მოწვეული პერსონალი
ნაშრომის სახელწოდება:	
ნაშრომის ტიპი:	[ ] საბაკალავრო [ ] სამეცნიერო სტატია [ ] მონოგრაფია [ ] კვლევითი პროექტი
AI-ის გამოყენება:	[ ] არ გამომიყენებია [ ] გამოვიყენე (მიეთითოს ინსტრუმენტი, ვერსია, მიზანი)

„ვადასტურებ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს, მასში დაცულია საავტორო უფლებები და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები. ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ინსტრუმენტები გამოყენებულია მხოლოდ სასწავლებლის მიერ დაშვებული დამხმარე მიზნებისთვის და სათანადოდ არის დეკლარირებული.“

ხელმოწერა: _____ თარიღი: ____ / ____ / 202__ წ.

დანართი 2: ანტიპლაგიატის შემოწმების დასკვნის ფორმა

ავტორი / ნაშრომი:	
შემმოწმებელი / პოზიცია:	
ანტიპლაგიატის ინდექსები:	SC1: _____ % | SC2: _____ % | QC: _____ % | AIPC: _____ %
დამთხვევების ხასიათი:	[ ] ტექნიკური/ლეგიტიმური (ტერმინები, ციტატები) [ ] საეჭვო მსგავსება
საბოლოო შეფასება:	[ ] დადებითი (ნაშრომი ორიგინალურია და დაიშვება დაცვაზე) [ ] უარყოფითი (გადაეცეს გადასამუშავებლად ან გადამისამართდეს კომისიაში)

შემმოწმებლის / ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____ თარიღი: ____ / ____ / 202__ წ.

დანართი 3: ეთიკის კომისიის დასკვნა

საქმის N და თარიღი:	
ავტორი და ნაშრომი:	
კომისიის შემადგენლობა:	1. _____ 2. _____ 3. _____
დადგენილი გარემოება:	[ ] მსგავსება უმნიშვნელოა/ტექნიკურია, პლაგიატი არ დასტურდება (ნაშრომი დაიშვება) [ ] დადასტურებულია პლაგიატი/ტექსტის გააზრებული მითვისება (ნაშრომი არ დაიშვება) [ ] გამოვლენილია AI-ის არადეკლარირებული გამოყენება / მონაცემთა ფაბრიკაცია
რეკომენდებული სანქცია:	

კომისიის წევრთა ხელმოწერები:
1. _____ **2.** _____ **3.** _____